ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1962843

ნომერი: AR1313008

თარიღი : 25.05.2015

გაცემის თარიღი : 18.06.2015

გაცნობის თარიღი : 18.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ხეივანი დავით აღმაშენებლის , მე-13 კილომეტრი , (ნაკვ.14/579) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ეკატერინე აბრამია პ/ნ 01019023569
- თამარაშვილის 13, ბ.93

ორგანიზაცია:
- შპს გრინპაკი კოდი: 405059573

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.01.2015წ. №1698276 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 25/05/2015წ. AR1313008 განაცხადით მომართეს ეკატერინე აბრამიამ და პაატა აბრამიამ და მოითხოვეს ამავე სამსახურის 26.01.2015წ. №1698276 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 26.01.2015წ. №1698276 ბრძანებით, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–13 კილომეტრი (ნაკვ. №14/579), შპს „გრინპაკის“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა ოფისის (დამხმარე სასაწყობო მეურნეობით) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 26 იანვრიდან 2016 წლის 26 იანვრის ჩათვლით.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (რეგისტრაციის №882014692264, მომზადების თარიღი: 24/12/2014 14:18:24) თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი №01.72.14.014.579) მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „გრინპაკი“.

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B15100727, 07/05/2015 14:55:07) თანახმად, შპს „გრინპაკის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი პაატა აბრამია.

დღეისათვის, განმცხადებლები ითხოვენ 26.01.2015წ. №1698276 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ აქვს ობიექტის, აღნიშნული ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტისა და გაცემული მშენებლობის ნებართვის საფუძველზე, სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

სამსახურში, ასევე, წარმოდგენილია სამშენებლო ობიექტზე არსებული მდგომარეობის ამსახველი ფოტოსურათები, რომლიდანაც ირკვევა, რომ სამშენებლო ობიექტზე, 26.01.2015წ. №1698276 ბრძანების საფუძველზე, მშენებლობა ნაწარმოები არ არის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის 1–ლი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს არ გააჩნია 26.01.2015წ. №1698276 აღმჭურველი ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე, საპროექტო ობიექტის სამშენებლოდ გავითარების ინტერესი და აღნიშნული აქტის საფუძველზე, მშენებლობა ნაწარმოები არ არის, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა ინიდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს ეკატერინე აბრამიასა და პაატა აბრამიას 25/05/2015წ. AR1313008 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26.01.2015წ. №1698276 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლოს ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6), ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.